ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №070

ქ. თბილისი 24 ნოემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან სანაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **შპს "ბირთვი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ვეფხვია ცერცვაძის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების პირობების თანახმად შემსყიდველი ახორციელებს მიმწოდებლისაგან 1 (ერთი) ერთეული კარტრიჯის (HP64A) შესყიდვას (CPV კოდი: 30237310) შემდგომში – საქონელი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **345** (სამასორმოცდახუთი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სასაქონლო ზედდებულისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" შესყიდვების სპეციალისტი - დავით ხუროშვილი.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ვაგლის მოედ. #2.
5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2011 წლის 25 ნოემბრამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.5. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.6. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის" შესყიდვების სპეციალისტი - დავით ხუროშვილი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 24 ნოემბრიდან და მოქმედებს 2011 წლის 10 დეკემბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს“

12. მხარეთა რეკვიზიტები:

“შემსყიდველი“	“მიმწოდებელი“
შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია“	შპს ,,ბირთვი“
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34	მისამართი: ქ. თბილისი, სან-ზონის დას. კ-2, ბ.5
ს/კ 204568208	ს/კ 400014104
ბანკი: სს “ლიბერთი ბანკი“	ბანკი: სს ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE28LB0113121375356003	ა/ა GE86TB7963636020100001
---	---
გენერალური დირექტორი	დირექტორი
ლევან სანაძე	ვეფხვია ცერცვაძე